იურიდიული ფაკულტეტის პროგრამების ანოტაცია

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 2

საერთაშორისო სამართალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 12

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 20

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 30

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა 36

სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში 42

სადოქტორო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში 48

სამაგისტრო პროგრამა მიგრაციის მართვაში 59

სამაგისტრო პროგრამა საჯარო მმართველობა 65

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართალი/LAW

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში საშუალოდ – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

1. პროგრამის მიზნები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

1) ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებაში არსებულ სამართლებრივ ღირებულებათა დამკვიდრების ხელშეწყობა; სტუდენტის ინტელექტუალურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.
2) სტუდენტისათვის სამართლებრივი საკითხების ცოდნა-გაცნობიერებისა და მიღებული ცოდნის გამოყენების სწავლება.

3) სტუდენტი დაეუფლოს იურისტის საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ მეთოდებს და შეიძინოს სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი; მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კომუნიკაციისა და სწავლების უნარი;
4) სტუდენტს გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.
5) სტუდენტს, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი ასპექტების გარდა, ეძლევა შესაძლებლობა შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა და მოახდინოს საგნების კონცენტრაცია ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით: კონსტიტუციური სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საერთაშორისო სამართალი, სისხლის სამართალი ან კერძო სამართალი. სტუდენტს უფლება აქვს, და მიზანშეწონილიცაა, განახორციელოს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება სხვადასხვა სპეციალიზაციის საგნების კონცენტრაციით, მაგალითად, კერძო სამართალში ადმინისტრაციული სამართლის ელემენტებით ან სისხლის სამართალში საერთაშორისო სამართლის ელემენტებით. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ასევე დაეუფლოს სამართლის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ, ისტორიულ და ეკონომიკურ ასპექტებს. სტუდენტს შეუძლია, საკუთარი სურვილისამებრ ისწავლოს არაიურიდიული დისციპლინებიც, რომლებიც მას ხელს უწყობს, გაიღრმავოს ცოდნა ცალკეულ დარგში, და, ამავე დროს, დარწმუნდეს თავისი პროფესიის არჩევანის სისწორეში.

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. სწავლის შედეგები (კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ფართო, ხოლო სპეციალიზაციის სფეროს (საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის) სიღრმისეული ცოდნა, რაც აისახება ქვედარგის სტრუქტურის, ინსტიტუტებისა და სპეციალიზაციის საგნების ცოდნაში. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

კურსდამთავრებულმა იცის: სამართლის ცნება და ფუნქციები, თეორიები, ძირითადი პრინციპები, სამართლის ნორმის სტრუქტურა და სახეები, განმარტების მეთოდები, სამართლის შეფარდება, სამართლის ენა და სამართლის სისტემები; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, ძველი ქართული სამართლის ცალკეული დარგები და ინსტიტუტები, რომის სამართლის საფუძვლები. სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროები, ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები; კერძო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (პირები, გარიგებები, ვადები). სანივთო (ქონებრივი) სამართალი (ქონება, მფლობელობა, საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები); ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი დებულებანი, სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები); საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი; შრომის სამართალი (შრომითი და თანმდევი ურთიერთობები); საკორპორაციო სამართალი (პირთა და კაპიტალის გაერთიანების სამართლებრივი ფორმები); ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები, ადმინისტრაციული ურთიერთობის სუბიექტები, ადმინისტრაციული წარმოების სახეები და მათი განხორციელების წესები; სისხლის სამართლის ძირითადი ცნებები, პრინციპები და ინსტიტუტები, ცალკეული დანაშაულები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების პრინციპები, საქმისწარმოების თავისებურებანი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შესწევს უნარი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას, გამოიყენოს ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის.

აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი.

შეუძლია დამოუკიდებლად ან/და მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, წესდების, საჩივრის, სარჩელის, ესსეს და

ა.შ.) შედგენა.
დასკვნის უნარი
აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი. გააჩნია სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შეგროვების, განმარტების, ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.
კომუნიკაციის უნარი
აქვს ინფორმაციის მშობლიურ და არანაკლებ ერთ უცხოურ ენაზე ინფორმაციის მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობით ფორმით, ანგარიშის მომზადებისა და ინფორმაციის გადაცემის უნარი. ასევე შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.
სწავლის უნარი
აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნების უნარი. შეუძლია დაადგინოს ინფორმაციის წყაროები (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.), მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია. შესწევს ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავებისა და მუდმივი განახლების უნარი
ღირებულებები
იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ითვალისწინებს ზოგადსამართლებრივ ღირებულებებს და იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

4. სწავლება-სწავლის მეთოდები

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ სემინარი ☒ პრაქტიკული მუშაობა ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება
☐ ელექტრონული სწავლება ☐ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

5. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შემენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

6. დასაქმების სფეროები

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

7. სწავლის გაგრძელების საშუალება

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

8. პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ბაკალავრებისათვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- 2500 მ2 ფართზე განლაგებული სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდა იურიდიული ფაკულტეტთან არსებული სასემინარო ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები (სულ 15 000-ზე მეტი ეგზემპლარი სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, სასამართლო გადაწყვეტილებები, ლექსიკონები, ნორმატიული მასალა და სხვა);
- 130 კომპიუტერი ინტერნეტის თავისუფალი წვდომით;
- იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი და მედიაციის ცენტრი.

9. პროგრამის ადამიანური რესურსი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (13 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები (118 მოწვეული სპეციალისტი/პროფესორი), რომელთაც აქვთ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართი №2.

10. საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან.

გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე და ა.შ..

11.პროგრამის ხელმძღვანელი

მიმართულების ხელმძღვანელი ყველა პროფესორი; პროგრამას ადმინისტრირებას უწევს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

11. პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტი მოიცავს უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის მოდულს (A), სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულის სავალდებული სასწავლო კურსებს (B), საჯარო სამართლის მოდულის სავალდებული სასწავლო კურსებს (C), კერძო სამართლის მოდულის სავალდებული სასწავლო კურსებს (D) და სისხლის სამართლის მოდულის სავალდებული სასწავლო კურსებს (E).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტი მოიცავს სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულის არჩევით სასწავლო კურსებს (F), საჯარო სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებს (G), კერძო სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებს (H), სისხლის სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებს (I), საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებს (J), პრაქტიკული უნარების მოდულის არჩევით სასწავლო კურსებს (K), ასევე თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსებს (L).

მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და თითოეული მათგანის შესწავლა შესაძლებელია, სავალდებულო წინაპირობა იყოს პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დანარჩენი სასწავლო კურსების შესწავლისა.

(A)	**უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის მოდული**	უცხოური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 20 (ერთ რომელიმე უცხო ენაში) კრედიტის მოცულობით, 4 სემესტრის განმავლობაში. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტს, რომლებიც წარმოადგენს უცხო ენის სერთიფიკატს – თსუ-ის უცხო ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდება უცხო ენის სავალდებულო მოდულისაგან და უფლება აქვთ ამ მოდულისათვის გათვალისწინებული კრედიტები შეავსოს თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების ან/და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.
(B)	**სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები**	სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 14 კრედიტი აღნიშნული მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე.
(C)	**საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები**	საჯარო სამართლის მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 35 კრედიტი აღნიშნული მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე.
(D)	**კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები**	კერძო სამართლის მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 51 კრედიტი აღნიშნული მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე.
(E)	**სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები**	სისხლის სამართლის მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 28 კრედიტი აღნიშნული მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე.
(F)	**სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულის არჩევითი**	სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების

	სასწავლო კურსები	გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების სფეროში. აღნიშნული მოდულიდან სავალ-დებულოა მინიმუმ 5 კრედიტის დაგროვება.
(G)	**საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები**	საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში. აღნიშნული მოდულიდან სავალდებულოა მინიმუმ 10 კრედიტის დაგროვება.
(H)	**კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები**	კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა კერძო სამართლის სფეროში. აღნიშნული მოდულიდან სავალდებულოა მინიმუმ 10 კრედიტის დაგროვება.
(I)	**სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები**	სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში. აღნიშნული მოდულიდან სავალდებულოა მინიმუმ 10 კრედიტის დაგროვება.
(J)	**საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები**	საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საერთაშორისო სამართლის სფეროში. აღნიშნული მოდულიდან სავალდებულოა მინიმუმ 10 კრედიტის დაგროვება.
(K)	**პრაქტიკული უნარების მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები**	პრაქტიკული უნარების განსავითარებლად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი კომპონენტის სახით ითვალისწინებს პრაქტიკულ კურსებს კერძო სამართალში, სისხლის სამართალში და საჯარო სამართლში, რაც გულისხმობს შესაბამის დარგებში პრაქტიკული უნარების განვითარებას და იმიტირებული სასამართლო პროცესის ორგანიზებას. აღნიშნული კომპონენტიდან სავალდებულოა მინიმუმ 10 კრედიტის დაგროვება.
(L)	**თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები**	სტუდენტს შეუძლია საკუთარი სურვილის შესაბამისად შეისწავლოს არაიურიდიული დისციპლინები, რათა გაიღრმავოს ცოდნა ცალკეულ დარგში და ამავედროულად დარწმუნდეს თავისი პროფესიის არჩევანის სისწორეში.

		თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა სტუდენტს შეუძლია თსუ-ის საბაკალავრო საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, ასევე სხვა ავტორიზებული უსდ-ის შესაბამისი პროგრამებიდან, არაუმეტეს 30 კრედიტის მოცულობით. სტუდენტი უფლება აქვს თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების მოდულისათვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობა შეავსოს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

საერთაშორისო სამართალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

II. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი, სპეციალობა – საერთაშორისო სამართალი; Bachelor of Law, Specialisation – International Law.

III. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240, სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა 8 სემესტრი.

IV. სწავლების ენა: ქართული

V. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

1) საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს საერთაშორისო სამართლის დარგში კვალიფიცირებული კადრების მომზადებას, რომელთა უნარ-ჩვევები და თეორიული და პრაქტიკული მასალის ცოდნა ხელს შეუწყობს საერთაშორისო სამართლებრივი საკითხების ოპერატიულად და ეფექტურად დამუშავებას, რაც დიდ საჭიროებას წარმოადგენს დღევანდელ საქართველოში, რომლის საერთაშორისო ურთიერთობები სულ უფრო და უფრო ფართოვდება და სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ორგანო ერთვება ამ პროცესში. სტუდენტი ეუფლება იურისტისათვის აუცილებელ მეთოდებს და იძენს სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარს.

2) დასაქმების სფეროები: საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ, იმუშავონ საქართველოს საგარეო პოლიტიკის შიდა (საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, პარლამენტის აპარატი, და სხვ.) და საგარეო (საელჩო, საკონსულო) ორგანოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ სექტორში.

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საერთაშორისო სამართლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

VII. სწავლის შედეგები: **კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები**

#	სწავლის შედეგების კრიტერიუმები	დარგობრივი კომპეტენციები
1	**ცოდნა და გაცნობიერება;**	აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის. კურსდამთავრებულს აქვს: • ეროვნული სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა; • საერთაშორისო სამართლის პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა; • საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის ათვისებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები; • სამართლის ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების უნარი; • პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვისადმი მისწრაფების უნარი;
2	**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;**	აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა.
3	დასკვნის უნარი;	აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.

4	**კომუნიკაციის უნარი;**	აქვს ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენაზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემის უნარი.
5	**სწავლის უნარი;**	აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.
6	**ღირებულებები**	იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოებში მუშაობის პარალელურად შესაძლებლობა აქვთ საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში, საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში მუშაობისა.

ამავე დროს, იგი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

VIII. სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**.
2. **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
3. **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
4. **წიგნზე მუშაობის მეთოდი.**
5. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
6. **თანამშრომლობითი** (cooperative) **სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
7. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
8. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
9. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი

შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

10. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
11. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
12. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

13. **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
14. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
15. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

IX. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასების ზოგადი წესი:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;

კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში

X. პროგრამის სტრუქტურა. (იხ. დანართი)

XI. პროგრამაში მონაწილე პროგრამაში მონაწილე ლექტორები: ძირითადი შტატის 75 პროფესორი და 10 მოწვეული პროფესორია პროგრამის განხორციელებაში ჩართული.

XII. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:სასწავლო ფართი 2500 მ^2-ზე მეტი (აუდიტორიები, საპროფესოროები, ბიბლიოთეკა (15680 ერთეული წყარო, აქედან – 6887 სახეობა: სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, ჟურნალები, სასამართლო გადაწყვეტილებები, სხვა ლიტერატურა); 125 კომპიუტერი.

XIV. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: საბაკალავრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართალი/LAW

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): სამართლის მაგისტრი/Master of Law

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS

სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში საშუალოდ – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

1. პროგრამის მიზნები

სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, მისი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი კვლევის უნარის მქონე კადრების მომზადება.

კურსდამთავრებულის აღჭურვა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციით.

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და B2 დონის უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენისა და სპეციალობის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენის გამოცდისაგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი.

3. სწავლის შედეგები (კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)

ცოდნა და გაცნობიერება
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • აქვს საჯარო, კერძო ან/და სისხლის სამართლის მიმართულებით ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • შესწევს უნარი სამართლის მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას; განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია კომპლექსური პრობლემების შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგნალური გზების შემუშავება. შეუძლია უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.
დასკვნის უნარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა და/ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილების კრიტიკული ანალიზი და გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბება.
კომუნიკაციის უნარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • შეუძლია აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები.
სწავლის უნარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

- შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი; სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, ნორმატიული ბაზის, სამეცნიერო სატატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით, სწავლის დამოუკიდებლად დაგემვა და წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება.

ღირებულებები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

- შეუძლია მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად არსებული სამართლებრივი ღირებულებების გაანალიზება; ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება; საჭიროების შემთხვევაში წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

4. სწავლება-სწავლის მეთოდები

☒ ლექცია ☐ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☐ სემინარი ☐ პრაქტიკული მუშაობა ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება
☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

5. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:
შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

6. დასაქმების სფეროები

სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

7. სწავლის გაგრძელების საშუალება

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

8. პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა

სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება მაგისტრანტებისათვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- 2500 მ2 ფართზე განლაგებული სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდა იურიდიული ფაკულტეტთან არსებული სასემინარო ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები (სულ 15 000-ზე მეტი ეგზემპლარი სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, სასამართლო გადაწყვეტილებები, ლექსიკონები, ნორმატიული მასალა და სხვა);
- 130 კომპიუტერი ინტერნეტის თავისუფალი წვდომით;
- იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი და მედიაციის ცენტრი.

9. პროგრამის ადამიანური რესურსი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (13 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები (118 მოწვეული სპეციალისტი/პროფესორი), რომელთაც აქვთ სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართი №2.

10. საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან.

გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე და ა.შ..

11.პროგრამის ხელმძღვანელი

მიმართულების ხელმძღვანელი ყველა პროფესორი; პროგრამას ადმინისტრირებას უწევს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

11. პროგრამის სტრუქტურა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო (90 კრედიტი) და სამეცნიერო-კვლევითი (30 კრედიტი) კომპონენტებისაგან.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო სასწავლო კურსებს (10 კრედიტი), საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მიმართულების არჩევით სასწავლო კურსებს (50 კრედიტი) და კლინიკური სწავლების მოდულებს (30 კრედიტი).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო დაცვას (30 კრედიტი).

(A)	სავალდებულო სასწავლო კურსები	სტუდენტმა სავალდებულო წესით უნდა გაიაროს აკადემიური წერის სასწავლო კურსი. აღნიშნული სასწავლო კურსი ორიენტირებულია სტუდენტის მიერ საკუთარი ორიგინალური აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბების, მისი არგუმენტირებული გადმოცემის (წერილობით თუ ზეპირად), ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის, ლიტერატურაზე მუშაობის, წერის დაგეგმვის, აგრეთვე კვლევითი ნაშრომის შესრულების უნარის გამომუშავებაზე.
(B)	საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსები	საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში. არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 40 და მაქსიმუმ 50 კრედიტი. ამასთან, 10 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამების არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე - მისი აკადემიური ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
(C)	კლინიკური სწავლების მოდულები	სტუდენტის კლინიკური სწავლება შეიძლება განხორციელდეს სასამართლო ორგანოებში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, საჯარო დაწესებულებებში, აგრეთვე იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში და მიზნად ისახავს სტუდენტებში სამართლებრივი აზროვნების, სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, პროფესიული მეტყველების უნარის განვითარებასა და საბოლოოდ მაღალი კვალიფიკაციის იურისტის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

		კლინიკური სწავლების მოდულებიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 30 კრედიტი კლინიკური სწავლების სამივე მოდულიდან თითოეული კომპონენტის ხარჯზე. ამასთან, კლინიკური სწავლების პირველი მოდულიდან სავალდებულოა 5 კრედიტის დაგროვება, მეორე მოდულიდან -15 კრედიტის დაგროვება, ხოლო მესამე მოდულიდან - 10 კრედიტის დაგროვება.
(D)	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და მისი საჯარო დაცვა	სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის უნარს, ჩაატაროს კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. წარმოდგენილი ნაშრომის დაცვისას სტუდენტიმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი. სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამართლის იმ მიმართულებით, რომლიდანაც არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე დაგროვილი აქვს მინიმუმ 30 კრედიტი.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

I. **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა
II. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საერთაშორისო სამართლის მაგისტრი; Master in International Law.
III. **პროგრამის მოცულობა:** 120 ECTS კრედიტი.
V. **სწავლების ენა:** ქართული და ინგლისური

VI. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, მაგისტრანტისთვის პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება და, ამავე დროს, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობა. კურსდამთავრებულის აღჭურვა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციით. სამაგისტო პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულს პრეზიდენტის და მინისტრთა საბჭოს ადმინისტრაციაში, საგარეო საქმეთა, იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროებში არსებულ საერთაშორისო და საგარეო ერტეულებში, საქართველოს შიდა და საზღვარგარეტული ორგანოების აქტიურ საერთაშორისოსამართლებრივ უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის და ამავე დროს გამოუმუშავებს მას სადოქტორო პროგრამისათვის აუცილებელ სამეცნიერო კვლევის უნარს.

ამავე დროს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება სახელმწიფო სასერთიფიკატო გამოცდის ჩაბარება რომელიც სავალდებულოა იუსტიციის უმაღლეს სკოლოაში მისაღებად, ასევე ადვოკატისა და პროკურორის თანამდებობის დასაკავებლად. ცალკეული პროფესიისათვის შესაძლებელია კანონმდებლობით ან შესაბამისი პროფესიული გაერთიანების მიერ გათვალისწინებული იყოს პროფესიის დაუფლებისათვის დამატებითი წინაპირობები.

VI. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება და
- უცხო ენასა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული 2 დონე) და სპეციალობაში გამოცდების ჩაბარება.

VII. **სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:**

N	სწავლის შედეგების კრიტერიუმები	დარგობრივი კომპეტენციები
1	**ცოდნა და გაცნობიერება;**	აქვს სამართლის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნო-ბიერებული აქვს შესაბამისი სფერო-სათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.
2	**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;**	განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია სამართლებრივი პრობლემე-ბის კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგნა-ლური გზების შემუშავება.
3	დასკვნის უნარი;	ახლებური საკანონმდებლო მოწეს-რიგების, სასამართლო პრაქტიკისა ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილების ანალიზი და გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბება.
4	**კომუნიკაციის უნარი;**	შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები.
5	**სწავლის უნარი;**	შეუძლია დამოუკიდებლად განსაზ-ღვროს თეორიული კომპონენ-ტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი, გაიფარ-თოოს ცოდნა შესაბამისი სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგა-დებული ანალიზის მეშვეობით.
6	**ღირებულებები.**	მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

IV. **სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:**

16. **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**.

17. **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

18. **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

19. **წიგნზე მუშაობის მეთოდი.**

20. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

21. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

22. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.

23. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

24. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

25. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

26. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

27. **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

28. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

29. **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

V. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასების ზოგადი წესი:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;

კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B

71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

VI. საგანმანათლებლო პროგრამის საგნების ჩამონათვალი და თითოეული საგნისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა:

პროგრამის სასწავლო კომპონენტები ეფუძნება დასავლეთ ევროპაში დანერგილ პრაქტიკას, საერთაშორისო მაგისტრტურაში ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტისათვის უახლეს თეორიული, სამეცნიერო დოქტრინის ღრმა შესწავლას და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის (case law) თავისებურებისა და საქართველოს კანონმდებლობასა და სასამრთლო პრაქტიკის ურთიერთქმედებას.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართალი/LAW

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): სამართლის დოქტორი/ Doctoris Iuris (შეესატყვისება PhD in Law)

სწავლების ენა: საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS

იურიდიული ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც დოქტორანტმა უნდა დააგროვოს დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან არანაკლებ ექვსი სემესტრის განმავლობაში.

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 კრედიტი - სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

1. პროგრამის მიზნები

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- სამართლის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული კვლევა;
- სამართლის მეცნიერებისა და სამართლებრივი აზროვნების განვითარება;
- არსებული სამართლის სისტემების არსში წვდომა, მათი ნაკლოვანი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი წინადადებების შემუშავება.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

გამოუმუშაოს ის აუცილებელი თვისებები, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. სამართლის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტობის კანდიდატის მიერ გავლილი სამართლის სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 კრედიტზე ნაკლებია, აუცილებელია სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხიც.

დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით.

ევროპული სამეცნიერო (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ საქართველოში ან მის ფარგლებს სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას.

დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განისაზღვრება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებით.

დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

3. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • აქვს სამართლის მიმართულების უახლეს ან/და აქტუალურ მიღწე-ვებზე დამყარებული ცოდნა. ფლობს დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს სამეც-ნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს. შეუძლია შესაბამის სფეროში არსებული ცოდნის კრიტიკული გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • შეუძლია სამართლის მიმართუ-ლებით ინოვაციური კვლევების დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; ახლებური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომელიც სფეროს ფარგლებში ახლი ცოდნის შექმნა-ზეა ორიენტირებული. ფლობს სამართლებრივი კონფლიქტების სამართლებრივი მეთოდებით გადა-წყვეტის უნარს. • შეუძლია საუნივერსიტეტო განათ-ლებაში საკუთარი წვლილის შეტანა სწავლებისა და კვლევის განხორ-ციელების გზით.
დასკვნის უნარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • შეუძლია განახლებული სამართლებრივი ბაზის, სასამართ-ლო პრაქტიკისა თუ უახლესი მეცნიერული მიღწევების, ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი მიდგომების შეფასება და კრიტი-კული ანალიზი. ახალი მეთოდო-ლოგიის შემუშავებისა თუ განვითარებისათვის ხელშეწყობა. წამოჭრილი პრობლემების დამოუ-კიდებლად გადაწყვეტა. ფლობს სამართლებრივი პრობლემების სწორი მეცნიერული ინტერპრეტირების უნარს.
კომუნიკაციის უნარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • შეუძლია სართაშორისო თუ ეროვნულ დონეზე სამეცნიერო საზოგადოებასთან უახლესი სამეცნიერო მიღწევების გარკვევით და დასაბუთებულად წარმოჩენა და თემატურ პოლემიკაში ჩართვა სამეცნიერო კონფერენციებში მონა-წილეობის, სამეცნიერო პუბლიკა-ციების, მონოგრაფიების და სახელმძღვანელოების და ა.შ. შექმნის გზით.

სწავლის უნარი
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • აქვს სწავლისა თუ კვლევის პროცესში სფეროს უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული ახალი შეხედულებებისა თუ იდეების კრიტიკული გააზრების, ათვისებისა და მათი დანერგვის უნარი, გააჩნია ასევე სამართლის მიმართულების განვითარებისათვის მნიშვნელოვან ან/და ახალი პროცესების განვითა-რების მზაობა.
ღირებულებები
საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს: • შეუძლია სამართალის სფეროსთან დაკავშირებული ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

4. სწავლება-სწავლის მეთოდები

☒ ლექცია ☐ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ სემინარი ☐ პრაქტიკული მუშაობა ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება
☐ ელექტრონული სწავლება ☐ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

5. დასაქმების სფეროები

სამართლის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სამართლის დოქტორს ასევე შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის დოქტორის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

6. პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა

სამართლის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება დოქტორანტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- 2500 მ2 ფართზე განლაგებული სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები;
- საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდა იურიდიული ფაკულტეტთან არსებული სასემინარო ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები (სულ 15 000-ზე მეტი ეგზემპლარი სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, სასამართლო გადაწყვეტილებები, ლექსიკონები, ნორმატიული მასალა და სხვა);
- 130 კომპიუტერი ინტერნეტის თავისუფალი წვდომით;
- იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზი და მედიაციის ცენტრი.

7. პროგრამის ადამიანური რესურსი

სამართლის სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (13 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები (118 მოწვეული სპეციალისტი/პროფესორი), რომელთაც აქვთ სამართლის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართი №2.

8. სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სადოქტორო პროგრამის სრულყოფილად განხორციელების, პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მოტივაციის მხარდაჭერის მიზნით, სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან.

გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე და ა.შ..

9.პროგრამის ხელმძღვანელები

- აკადემიკოსი ლევან ალექსიძე (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში).
- პროფესორი ირაკლი ბურდული (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში);

10. პროგრამის სტრუქტურა

10.1. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი და მისი შეფასების სისტემა (60 ECTS)

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ელემენტებისაგან. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, სამართლის სადოქტორო პროგრამის სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი სავალდებულო და არჩევითი ელემენტების შინაარსი და შეფასების სისტემა აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ევროპისმცოდნეობის მაგისტრი/Master of Arts degree in European Studies
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი
სწავლების ენა: ინგლისური

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

- ორწლიანი სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტების უზრუნველყოფა ღრმა ინტერდისციპლინური ცოდნით ევროკავშირის, ისევე როგორც ევროკავშირთან აღმოსავლეთ ევროპის არსებული და მოსალოდნელი კავშირების შესახებ (სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკა, ისტორია და კულტურა). სტუდენტები გახდებიან დარგის ექსპერტები, რომლებსაც ექნებათ ევროკავშირის ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტების სტრუქტურისა და მოქმედების შესახებ ამომწურავი ცოდნა და გაგება, და ეცოდინებათ ევროპულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებები, ასევე ევროპული ინტეგრაციის პროცესი.

- სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში შექმნილია TACIS-ის პროექტის (TACIS/2006/119115) ფარგლებში 2007 წელს. ევროპული კვლევების ინსტიტუტი ახორციელებს პროგრამის ადმინისტრირებას, სთავაზობს არჩევით კურსებს თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს. ახდენს ევროპისმცოდნეობის სფეროში სწავლისა და სწავლების ინოვაციური მეთოდოლოგიის დანერგვა-გავრცელებას. ევროპისმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ახდენს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
- საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება (A, B, C ტიპის ტესტები)
- ინგლისური ენის ჩაბარება (B2 დონე)
- გასაუბრება ჟიურის წინაშე

ბაკალავრის ხარისხის მქონე უცხოელ კანდიდატებს უფლება აქვთ ჩააბარონ ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების სრული დაცვით.

სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს უმთავრესი ასპექტების ღრმა და სისტემატური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	ახალ მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი.
დასკვნის უნარი	სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უნარი. კვლევის შერეული მეთოდების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.
კომუნიკაციის უნარი	იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;
სწავლის უნარი	საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; აქვს ეკონომიკური, სამართლებრი, პოლიტიკური ცვლილებებისათვის

	თვალის მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.
ღირებულებები	იცნობს საკუთარი საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას, მონაწილეობას იღებს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:

დისკუსია, გუნდური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), იმიტირებული სასამართლო, პრეზენტაციები, ევროკავშირის სიმულაცია.

სასწავლო კურსები არის ინტერაქტიული და ორიენტირებული თეორიასა და პრაქტიკაზე. სწავლის განმავლობაში მაგისტრატურის სტუდენტებს ხშირად უწევთ შემთხვევის ანალიზისა და მრავალ პასუხიანი ტესტების კეთება იმისათვის რათა უკეთ გაერკვნენ განსახილველ საკითხში და შეძლონ ევროპული სტანდარტების პრაქტიკისათვის მისადაგება.

სხვადასხვა იმიტირებული სასამართლოების ორგანიზებით სტუდენტები უკეთ ეცნობიან იმ გარემოს რაც არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ სასამართლოებში.

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო პროცესის შემადგენელი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ევროკავშირის სიმულაცია, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ევროკავშირის შესახებ ცოდნის სტუდენტებამდე მიტანის ინოვაციურ გზას, რადგან სწორედ მისი მეშვეობით ხდება თავად ევროპული ინტეგრაციის კონცეფციისა და ევროკავშირში არსებული კულტურული მრავალფეროვნების ფენომენის სწორი გაგება. ამასთანავე სტუდენტებს უყალიბდებათ ისეთი მნიშვნელოვანი უნარები, როგორიცაა ორატორული ხელოვნება, წერის დახვეწილი სტილი, მოლაპარაკებების წარმოებისა და პრობლემათა მოგვარების უნარ-ჩვევები.

ლექცია-სემინარები წარმოადგენს პროგრამის სწავლების უმთავრეს მეთოდს. სემესტრების განმავლობაში სტუდენტებს მოეთხოვებათ თეორიული მასალების მომზადება, სხვადასხვა დავალებათა შესრულება იქნება ეს ტესტები, სავარჯიშოები და ასე შემდეგ. ლექციებზე მათ აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ დებატებსა და დისკუსიებში. ერთი კურსის განმავლობაში პროფესორები იყენებენ სწავლების რამდენიმე მეთოდს ერთდროულად.

სემესტრის განმავლობაში ერთი შუალედური წერა ტარდება, რაც ფასდება პროფესორის მიერ შესაბამისი ქულებით. თითოეულ სტუდენტს ეძლევა გარკვეული თემა რათა მოამზადოს და წარადგინოს აუდიტორიის წინაშე. პრეზენტაციის მსველობისას სტუდენტები ერთვებიან დისკუსიაში, სვამენ მათთვის საინტერესო კითხვებს და იღებენ პასუხებს პრეზენტატორი სტუდენტისაგან, ცალსახა პასუხის არ არსებობის შემთხვევაში სტუდენტები მსჯელობის გზით მიდიან გარკვეულ დასკვნებამდე. პრეზენტაციის გაკეთებამდე სტუდენტები წერილობითი ფორმით ამზადებენ მოკლე მიმოხილვას იმისა რაზეც უნდა წარიმართოს დისკუსია. მიმოხილვა მოიცავს დისკუსიის წარმართვის მთავარ საკითხს, მათ აღმოჩენებსა და დასკვნებს რაც გააკეთეს საკითხის დამუშავების პროცესში, ისევე როგორც სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს. უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად პროფესორს აქვს უფლება გამოიყენოს სააუდიტორიო მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათებიდან 30 საათი საიმისოდ რომ განუვითაროს სტუდენტებს დისკუსიის წარმართვისა და ანალიზის უნარ-ჩვევები, რაც სრულად არის დაცული ევროპული კვლევების ინსტიტუტის პროფესორების მხრიდან. ყველა სტუდენტისათვის სავალდებულოა მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების გარშემო. სტუდენტები აანალიზებენ ევროკავშირში არსებულ მდგომარეობას, იმ პრობლემებს რაც არსებობს მისი ინსტიტუტების წინაშე, ისევე როგორც იხილავენ ევროკავშირის როგორც ზესახელმწიფოებრივი სუბიექტის პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავების პროცესსა და მისი იმპლემენტაციის საკითხებს როგორც საერთაშორისო ასევე ეროვნულ დონეზე.

ყველა მეცადინეობას აქვს მეტნაკელბად ერთნაირი სახე, გამოყენებულია ე.წ. ლექცია – სემინარების ფორმატი. საკითხავი მასალის მომზადება სავალდებულოა ლექციაზე მოსვლამდე. ლექცია–სემინარის დაწყებისას პირველი 10–15 წუთი ეთმობა წინასწარ წაკითხული მასალიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვას, რის შემდეგაც ლექტორი გადადის უკვე დღის განმავლობაში განსახილველი საკითხის ახსნაზე და მთავარი ასპექტების გამოყოფაზე. ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია სტუდენტის აქტიური მონაწილეობა დისკუსიაში, რადგანაც მოხდეს მთავარი საკითხების უფრო მეტად დაკონკრეტება და სტუდენტამდე მიტანა.

სასწავლო კურსის დაწყებამდე ხდება სტუდენტისათვის სრული ლიტერატურის მიწოდება როგორც პროფესორის მიერ საკუთარი წყაროებიდან, ისევე ევროპული კვლევების ინსტიტუტის ბიბლიოთეკიდან. სტუდენტები სწავლის პროცესში აქტიურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებს და ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილ ინტერნეტ საშუალებებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასების ზოგადი წესი:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;

კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, (A)
81-90	ძალიან კარგი, (B)
71-80	კარგი, (C)
61-70	დამაკმაყოფილებელი, (D)
51-60	საკმარისი, (E)
41-50	ვერ ჩააბარა, (FX)
0-40	ჩაიჭრა, (F)

სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას მოქმედებს შემდეგი კრიტერიუმები:

ტექსტის შესაბამისობა სათაურთან – 10;
შესავალი, ნაშრომის სტრუქტურა – 10;
დასკვნა – 10;
საკუთარი აზრი – 10;
აზრის ფორმირების სტილი – 10;
ციტირების ტექნიკა – 10;

ნაშრომი დაცვაზე დაიშვება თუ მაგისტრანტი მიიღებს მინიმუმ 31 ქულას.

კვლევის შედეგების პრეზენტაცია – 10;
აქტუალური პრობლემის დანახვის და წარმოჩენის უნარი – 10;
სიახლის დასაბუთება – 10;
საკუთარი პოზიციის დაცვა, შეკითხვებზე პასუხი – 10.
ნაშრომი დაცულია თუ დასკვნით გამოცდაზე მაგისტრანტი მიიღებს მინიმუმ 21 ქულას.

საკონტაქტო პირის ვინაობა, რომელსაც შეუძლია სტუდენტს გაუწიოს კონსულტაცია: თსუ ხარისხი

სადოქტორო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ევროპისმცოდნეობის დოქტორი/PhD in European Studies
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180
სწავლების ენა: ინგლისური

სადოქტორო პროგრამის მიზანი:

ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური ინტერფაკულტეტური სადოქტორო პროგრამის მიზანია ევროკავშირის ინტეგრაციის, მისი იურიდიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიულ-კულტურული ასპექტების შესახებ კვლევების განვითარება, მაღალი დონის ახალი სამეცნიერო ცოდნის გენერირება და ამ სფეროს ექსპერტების მომზადება რეგიონული კონტექსტისა და ამ რეგიონში საქართველოს როლის გათვალისწინებით.

ევროკავშირის პატრონაჟით შექმნილი ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიზნებისა და კონცეფციის შესაბამისად, მნიშვნელოვანია არა მარტო ძლიერი კადრების მომზადება სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში პრაქტიკულ საქმიანობაში ჩასართავად, არამედ ისიც, რომ ევროპისმცოდნეთა ახალმა თაობამ საკუთარ თავზე აიღოს მეტად მნიშვნელოვანი ვალდებულება, რასაც მეცნიერების განვითარება და პედაგოგიური საქმიანობა ქვია.

ევროპისცმოდნეობის სადოქტორო პროგრამა, მიზნად ისახავს ევროკავშირთან დაკავშირებული საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ კვლევას ინტერდისციპლინური მიდგომის გამოყენებით, რაც იძლევა შესაძლებლობას იმისა, რომ მომავალმა დოქტორებმა ერთის მხრივ თავად შეძლონ ღრმა და ყოვლისმომცველი კვლევებისა და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება ევროკავშირთან დაკავშირებით სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული გადმოსახედიდან, ხოლო მეორეს მხრივ სტუდენტების მომავალ თაობასაც გაუზიარონ ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული ახლებური მიდგომები.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი
- ინგლისური ენის ჩაბარება (B2 დონე) ან შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა
- კვლევითი პროექტის წარმოდგენა (მაქსიმუმ 3000 სიტყვა, რომელიც მოიცავს ა) დისერტაციის სათაურს, ბ) კვლევის მიზნებს, გ) კვლევით კითხვას/კითხვებს, დ) კვლევის მეთოდოლოგიას და ე) გამოსაყენებელი ლიტერატურის მიმოხილვას)

- ჟიურის წინაშე გასაუბრება

სწავლის შედეგი: კურსდამთარებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

1	ცოდნა და გაცნობიერება	**ა) დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.** კერძოდ, • იცის ევროკავშირის მარეგულირებელი ეკონომიკური, ფინანსური, სამართლებრივი და პოლიტიკური სტრატეგიები, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა; • ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური სტრატეგიების ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებულ ფარგლებში აცნობიერებს ევროკავშირში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისობას საზოგადოების განვითარების მოთხოვნებთან; • იცის ევროკავშირის ინსტიტუციების სტრატეგიები, პოლიტიკა, ამ ცოდნის გლობალიზაციის კონტექსტში

		თანამედროვე გამოწვევებთან მიმართებაში ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება; • იცის რეფერირებადი პუბლიკაციისათვის შესაბამისი სტანდარტის ნაშრომის შემუშავების სტრატეგიები და ტექნიკა; • იცის ევროკავშირის ეკონომიკური/სამართლებრივი/ პოლიტიკური სფეროს ფარგლებში მოძიებული საკვლევი მასალის დამუშავებისა და კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები; • აცნობიერებს ევროკავშირის ეკონომიკის, საერთაშორისო ეკონომიკის, ფინანსებისა და ეკონომიკური სტრატეგიების უახლეს მიღწევებს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებულ ფარგლებში. ამასთანავე, სტუდენტმა არჩევითი საგნების ფარგლებში იცის: • აქვს ევროპის განვითარების ისტორიის, ევროპელის იდენტობის ფორმირების ისტორიული პროცესის უახლეს კვლევებზე დამყარებული ცოდნა, რაც ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებით ამ მიმართულებით არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას იძლევა; ისტორიული მოვლენების ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების საფუძველზე აცნობიერებს ცოდნის განახლებულ ფარგლებს ევროკავშირს თანამედროვე პოლიტიკურ, სოციო–ეკონომიკურ, ინტელექტუალურ და კულტურულ პროცესებთან კორელაციაში; • ევროკავშირის ორგანიზაციული, ლეგიტიმაციისა და ხელშეკრულებების ცოდნის საფუძველზე, ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით

		აცნობიერებს ევროკავშირის გამოწვევებს გლობალურ კონტექსტში ცოდნის განახლებულ ფარგლებში პერსპექტივების გათვალისწინებით; • აცნობიერებს სახელმწიფოებისა და მათ შორის კავშირების კონცეპტუალურ საფუძვლებს ევროკავშირის ფარგლებში არსებულ გამოწვევებთან მიმართებაში, მათი ნაწილობრივი გადაფასების გზით განვითარების, მისი შემადგენელი ერთეულების საქმიანობის საფუძვლების, ურთიერთკავშირების ტრანსფორმაციის კუთხით; აცნობიერებს საქართველოს პერსპექტივას ევროკავშირისა და გაეროს კონტექსტში; • შესაძლებლობა ექნება ასევე შეისწავლოს ევროპის საარჩევნო პოლიტიკა.
2	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	**ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.** კერძოდ: • შეძლებს ევროკავშირის ფარგლებში ინსტიტუციონალურ, ლეგიტიმაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით არსებული პრობლემებისა და გამოწვევების ფარგლებში კვლევის თემატიკის განსაზღვრას, მისი აქტუალობის დასაბუთებას, კვლევის მეთოდების გამოყენების საფუძველზე ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებასა და

		ზედამხედველობას; • შეძლებს ევროკავშირის ეკონომიკის/პოლიტიკის/ლეგიტიმაციის კუთხით ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებას, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზე იქნება ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში; • ევროკავშირში მიმდინარე პროცესებთან და არსებულ კველვებთან კორელაციაში მის ინსტიტუციონალურ წყობასთან, ლეგიტიმაციასთან და საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული ძირეული მოდელების ანალიზის საფუძველზე შეძლებს აქტუალური, პრობლემური და არაერთმნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირებას, მათი გადაჭრისათვის სწორი მეცნიერული სტრატეგიის, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებას; • შეძლებს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების საფუძველზე საკუთარი კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და განხორციელებას, რომლის შედეგებიც ახალი ცოდნის გენერირებაზე იქნება ორიენტირებული და ხელს შეუწყობს ევროკავშირის უფრო მეტ ჰარმონიზაციას ინსიტუციონალური წყობის, ლეგიტიმაციისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით; • შეძლებს ევროკავშირის ფარგლებში თანამედროვე მოვლენებთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაჭრელად ინოვაციური გზების მოძიებას ევროპის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური პრინციპების სიღრმისეული ანალიზის, მიმდინარე მოვლენების ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების საფუძველზე და ინდივიდუალური კვლევის მეთოდების

		შემუშავებას; • შეძლებს პრობლემათა გადასაჭრელად ევროკავშირის ინსტიტუციონალური და მარეგულირებელი იურიდიული კონცეფციების, პოლიტიკური კონცეფციების გამოყენებას, დამოუკიდებლად მათი მისადაგებას კონკრეტულ აქტუალურ, პრობლემურ საკითხებთან, დარგობრივი ახალი ცოდნის გენერირებას, რომელიც ევროკავშირის ინსტიტუციური, ლეგიტიმური, პოლიტიკური წყობის გაუმჯობესების საწინდარი იქნება.
3	დასკვნის უნარი	**გ) ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა. პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.** კერძოდ, • შეძლებს ევროკავშირის ფარგლებში არსებულ საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების კრიტიკულ შეფასებას, ანალიზს, კვლევის პროცესში მათ რელევანტურ გამოყენებას; • შეძლებს კრიტიკული შეფასება მისცეს ევროკავშირის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში არსებულ ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს; გააკეთოს მისი ანალიზი და ამის საფუძველზე ხელი შეუწყოს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას ევროპული კვლევების სფეროში; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას; • შეძლებს გააკეთოს ევროკავშირის ფარგლებში არსებული

		პრობლემებისა და გამოწვევების კრიტიკული ანალიზი გლობალურ კონტექსტში, დამოუკიდებლად შეიმუშავოს მათი მოგვარების შესაბამისი მოდელები და მეთოდოლოგიები ინსტიტუციონალურ ან/და ლეგიტიმურ დონეზე; • შეძლებს ევროკავშირის საქმიანობების დამოუკიდებელ კრიტიკულ ანალიზს გლობალურ კონტექსტში მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან და გამოწვევებთან მიმართებაში და ამის საფუძველზე ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობას; • შეძლებს ევროკავშირის ფარგლებში არსებული მოვლენების კრიტიკულ ანალიზსა და შეფასებას, პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას; • შეძლებს ევროკავშირის თანამედროვე მოვლენებთან დაკავშირებული პერპექტივების განხილვას, პრობლემების ანალიზსა და მათ გადასაჭრელად სათანადო გზების მოძიებას; • შეძლებს ევროკავშირის სამართლებრივი პრობლემური საკითხების სიღრმისეულ კრიტიკულ ანალიზსა და შეფასებას, არსებული პრობლემების გადასაჭრელად დამოუკიდებლად რელევანტური და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას.
4	კომუნიკაციის უნარი	**დ) კომუნიკაციის უნარი – ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;** კერძოდ, • შეძლებს ევროპისა და ევროკავშირის ისტორიული პროცესების თანამედროვე პროცესებთან შედეგობრივ

		კავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენას; • შეძლებს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვას ინგლიურ ენაზე ევროკავშირის ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებზე და პრობლემებზე გლობალურ კონტექსტში.
5	სწავლის უნარი	**ე) სწავლის უნარი – უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;** კერძოდ, • შეძლებს ევროკავშირის ცვალებად გარემოში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე ახალი იდეების განვითარებას სწავლის/საქმიანობის/კვლევის პროცესში; • ექნება ევროკავშირის კონტექსტში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გადასაჭრელად უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების/პროცესების განვითარებისათვის მზაობა ახალი იდეებისა და პროცესების სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.
6	ღირებულებები	**ვ) ღირებულებები – ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.** ამასთანავე, კურსდამთავრებული: • შეძლებს ევროკავშირის ფარგლებში ეფექტურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციასთან, ასევე კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებასთან კორელაციაში ევროპულ იდენტობასთან დაკავშირებული ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევას და ამ ღირებულებათა დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავებას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

- ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- დისკუსია/დებატები/ევროკავშირის სიმულაცია
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- შემთხვევის ანალიზი/დედუქცია/ინდუქცია/სინთეზი/ინტერპრეტაცია
- გონებრივი იერიში (Brain storming)
- გუნდური მუშაობის მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- იმიტირებული სასამართლო პროცესის მონაწილეების ხელმძღვანელობა/დახმარება
- დემონსტრირების მეთოდი/პრეზენტაცია
- წერითი მუშაობის მეთოდი/აკადემიური წერა
- თანამედროვე ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები/კვლევის დიზაინი

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ, რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო და/ან კვლევითი ამოცანიდან გამომდინარე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;

კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება

91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის შესაძლებელია შეფასების შემდეგი სისტემის გამოყენება:

ქულები	შეფასება
summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
Cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
Bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს
Rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
Insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც

	წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირის ვინაობა, რომელსაც შეუძლია სტუდენტს გაუწიოს კონსულტაცია: თსუ ხარისხი

სამაგისტრო პროგრამა მიგრაციის მართვაში

II. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მიგრაციის მეცნიერებათა მაგისტრი, Master of Arts degree in Migration Studies.

III. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი, სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 სემესტრი.

IV. სწავლების ენა: ქართული, ინგლისურენოვანი კურსების კომპონენტებით.

V. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

- საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ფონზე, მძლავრი ინფრასტრუქტურული ცვლილებების წყალობით, ქვეყანა მიმზიდველი ხდება ტურისტებისათვის, ინვესტორებისთვის; ეს ხელს უწყობს ქვეყანაში მეტი კაპიტალის შემოდინებას და ცხოვრების დონის ამაღლებას. ყოველივე ეს კი მიგრანტთა ნაკადების მოსალოდნელი ზრდისა და ქვეყნის წინაშე ახალი გამოწვევების წარმოშობის ინდიკატორია. იმისათვის, რომ საქართველო მზად დახვდეს ახალ გამოწვევებს, საჭიროა კვალიფიციური კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და მათი ინტეგრირება შესაბამის უწყებებში. სწორედ ამ მიზანს ეხმიანება მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის შექმნა და მის ფარგლებში ახალგაზრდა პროფესიონალების მომზადება.

- ამასთან, მიგრაციის მართვის ორწლიანი ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის მიზანია მიგრაციის კვლევისადმი კომპლექსური მიდგომა და პრობლემის ანალიზი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა ასპექტების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალ–ეკონომიკურ განვითარებას. სწორედ ამიტომ, სამაგისტრო პროგრამა მოიცავს ინტერდისციპლინურ სფეროებს (საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებები, კულტურათშორისი ურთიერთობები, კულტურათშორისი კავშირები, კონფლიქტის მენეჯმენტი, გენდერული მეცნიერებები და ა.შ.).

- მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს განუვითარდებათ, როგორც საჯარო და კერძო სექტორში მუშაობისათვის აუცილებელი უნარჩვევები, ასევე წარმატებით გაართმევენ თავს საერთაშორისო ორგანიზაციების სივრცეში მუშაობის პროცესსაც.

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს მინიმუმ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი (სამართლის, ეკონომიკის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით) საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, რომელმაც აგრეთვე უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა B2 დონეზე ან წარმოადგინოს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალობაში და ინტერვიუ ჟიურის წინაშე.

ბაკალავრის ხარისხის მქონე უცხოელ სტუდენტებს უფლება აქვთ ჩააბარონ წინამდებარე სამაგისტრო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების სრული დაცვით.

VII. სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი კომპეტენციები:

#	სწავლის შედეგების კრიტერიუმები	ზოგადი კომპეტენციები	დარგობრივი კომპეტენციები
1	ცოდნა და გაცნობიერება	აქვს მიგრაციის მართვისა და მისი ინსტიტუტების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.	აქვს მიგრაციასთან დაკავშირებული უმთავრესი ასპექტების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური (სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალურ–პოლიტიკური) პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს მიგრაციის მართვის, სფეროსათვის მიკუთვნებული აქტუალური საკითხები და მათი გადაჭრის გზები.
2	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;	აქვს ახალ მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი; უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით მიგრაციის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი ორიგინალური გზების ძიება; კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი

3	დასკვნის უნარი	**რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;**	აქვს მიგრაციის სფეროში უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი; შეუძლია მიგრაციის პროცესში პრაქტიკული თუ თეორიული ასპექტების ამსახველი რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.
4	კომუნიკაციის უნარი	თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;	შეუძლია აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს მიგრაციის სფეროში საკუთარი სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალურ–პოლიტიკური ხასიათის დასკვნები და არგუმენტები;
5	სწავლის უნარი	**სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;**	შეუძლია მიგრაციის სფეროში სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება, სწავლის პროცესის სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვა და დამოუკიდებლად წარმართვა.

6	ღირებულებები	ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.	შეუძლია მიგრაციის სფეროში აქტუალური ღირებულებებისადმი (როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვისა და პატივისცემის, სახელმწიფო სუვერენიტეტის და სხვა) თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

<u>კარიერის პერსპექტივები</u>

მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს ღირებულ კომპეტენციებს სწავლებისთვის, დამოუკიდებელი კვლევის წარმართვისთვის და შემდეგ სფეროებში კარიერის განხილვის თვალსაზრისით:

- საჯარო და სამთავრობო სამსახური
- არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროპული ინსტიტუტები
- პოლიტიკური ორგანიზაციები
- კონსალტინგური ორგანიზაციები
- მედია და საინფორმაციო ცენტრები

მიგრაციის მართვის მაგისტრს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ.

VIII. სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:

იმისათვის რათა მიღწეულ იქნას სწავლის შედეგები მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება სწავლების მრავალფეროვან მეთოდს: დისკუსია, გუნდური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, იმიტირებული სასამართლო, პრეზენტაციები, ელექტრონული სწავლების მეთოდები.

სასწავლო კურსები არის ინტერაქტიული და ორიენტირებული თეორიასა და პრაქტიკაზე. სწავლის განმავლობაში მაგისტრატურის სტუდენტებს ხშირად უწევთ შემთხვევის ანალიზისა და მრავალ პასუხიანი ტესტების კეთება იმისათვის რათა უკეთ გაერკვნენ განსახილველ საკითხში და შეძლონ ევროპული სტანდარტების პრაქტიკისათვის მისადაგება.

ლექცია სემინარები წარმოადგენს პროგრამის სწავლების უმთავრეს მეთოდს. სემესტრების განმავლობაში სტუდენტებს მოეთხოვებათ თეორიული მასალების მომზადება, სხვადასხვა დავალებათა შესრულება იქნება ეს ტესტები, სავარჯიშოები და ასე შემდეგ. ლექციებზე მათ აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ დებატებსა და დისკუსიებში. ერთი კურსის განმავლობაში პროფესორები შესაძლოა იყენებდნენ ძემოთჩმოთვლილ ერთ, რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა მეთოდს სწავლის შედეგების მიღწევის საჭიროებიდან გამომდინარე.

ზოგ შემთხვევებში სტუდენტებს ეძლევათ გარკვეული თემა რათა მოაზადონ და წარადგინონ აუდიტორიის წინაშე. პრეზენტაციის მსველობისას სტუდენტები ერთვებიან დისკუსიაში, სვამენ მათთვის საინტერესო კითხვებს და იღებენ პასუხებს პრეზენტატორი სტუდენტისაგან, ცალსახა პასუხის არ არსებობის შემთხვევაში სტუდენტები მსჯელობის გზით მიდიან გარკვეულ დასკვნებამდე. პრეზენტაციის გაკეთებამდე სტუდენტები წერილობითი ფორმით ამზადებენ მოკლე მიმოხილვას იმისა რაზეც უნდა წარიმართოს დისკუსია. მიმოხილვა მოიცავს დისკუსიის წარმართვის მთავარ საკითხს, მათ აღმოჩენებსა და დასკვნებს რაც გააკეთეს საკითხის დამუშავების პროცესში, ისევე როგორც სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს. ყველა სტუდენტისათვის სავალდებულოა მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში მიგრაციისა და მასთან დაკავშირებით გლობალურად არსებული ინსტრუმენტების გარშემო. სტუდენტები აანალიზებენ მიგრაციის კუთხით არსებულ მდგომარეობას, იმ პრობლემებს რაც არსებობს მის გარშემო.

IX. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასების ზოგადი წესი:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;

კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A

81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

სამაგისტრო ნაშრომი ხელმძღვანელის მიერ ფასდება 60 ქულის ფარგლებში შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- ტექსტის შესაბამისობა სათაურთან (10 ქულა);
- შესავალი და ნაშრომის სტრუქტურა (10 ქულა);
- დასკვნა (10 ქულა);
- საკუთარი აზრი (10 ქულა);
- აზრის ფორმირების სტილი (10 ქულა);
- ციტირების ტექნიკა (10 ქულა).

ზეპირი დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულის ფარგლებში შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- კვლევის შედეგების პრეზენტაცია (10 ქულა);
- აქტუალური პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარი (10 ქულა);
- სიახლის დასაბუთება (10 ქულა);
- საკუთარი პოზიციის დაცვა, შეკითხვებზე პასუხი (10 ქულა);

ზეპირი დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება მაგისტრანტის მიერ სულ მცირე 20 ქულის მიღების შემთხვევაში.

X. პროგრამის სტრუქტურა.

სასწავლო გეგმა:

იმისათვის რომ სტუდენტს მიენიჭოს მიგრაციის მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხი მან უნდა დააგროვოს 120 კრედიტი ორი წლის განმავლობაში ოთხ სემესტრზე გადანაწილებით. საიდანაც 66 კრედიტი არის სავალდებულო საგნებისათვის, 24 კრედიტი – არჩევითი საგნებისათვის, მათ შორის 12 კრედიტი – პრაქტიკისთვის,[1] ხოლო დარჩენილი 30 ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს.

სტუდენტებს ეძლევათ არჩევანის თავისუფლება მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ასარჩევი კომპონენტებიდან სრულად აიღებენ სასწავლო კურსებს თუ უპირატესობას მიანიჭებენ პრაქტიკულ კომპონენტს ისეთს, როგორციაა საქმიანობა შესაბამის უწებებში.

სამაგისტრო პროგრამა საჯარო მმართველობა

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ქ.შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის თანამშრომლობის საფუძველზე.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება: მიმართულებათაშორისი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიიური

სწავლების ენა: ინგლისური

---

[1] პრაქტიკული კომპონენტი მეტწილად განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის ვინც არ არის დასაქმებული სპეციალობით და დაინტერესებულია, რომ მიგრაციის სფეროში დაიგროვოს პრაქტიკული გამოცდილება.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი (Master of Public Administration)

პროგრამის მოცულობა: 120 ECTS (კრედიტი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამართლის, ეკონომიკის, ისტორიის, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერების დარგში

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით დაძლევა

გ) ინგლისური ენა (B2 დონე)

დ) გასაუბრება (ინგლისურ ენაზე) გერმანელ და ქართველ პროფესორებთან

პროგრამის ხელმძღვანელი: პროგრამის ხელმძღვანელობა მიმდინარეობს კოლეგიალურ საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან - ირაკლი ბურდულისა და გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ.

პროგრამის მიზნები და ამოცანები: სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მომავალი საჯარო მოხელეების მომზადებას, თანამედროვე საჯარო ადმინისტრირების მოთხოვნების შესაბამისად. ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი კვლევის უნარის მქონე კადრების მომზადება.

პროგრამის მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს საჯარო მოხელესათვის აუიცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები, ეკონომიკური სტანდარტები, ევროვნულ სამართლებრივ სისტემებში ევროკავშირის მმართველობის ინტეგრირების პროცესები, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და განხორციელების თავისებურებები და სხვა.

„საჯარო მმართველობის“ კურსდამთავრებულები შეძლებენ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას სხვადასხვა საჯარო დაწესებებულებებში.

დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე:

უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს განათლების შემდგომ საფეხურზე დოქტორანტურაში – იმ სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც დაშვების წინაპირობად მიიჩნევს საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს საჯარო მმართველობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც კურსდამთავრებულს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.

კურსდამთავრებულმა იცის:

საკონსტიტუციო სამართლის ძირითადი პრინციპები, სახელმწიფო უფლებამოსილების განმახორციელებელი ძირითადი ორგანოების მიერ კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვის სტრუქტურა და შინაარსი;
ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი;
ეროვნული კანონმდებლობისა და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების პრინციპები, საჯარო ადმინისტრაციის სამართლებრივი კონტროლის მიზნები, პროცედურები და მათი შესრულების/განხორციელების გზები;
ქართული და ევროპული ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, ძირითადი ინსტიტუტები, ევროპის საბჭოს (ევროსაბჭოს) ფუნქციები ადმინისტრაციული სამართლის სფეროში;
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შედგენის ტექნიკა, სახელმწიფოს ორგანიზაციული მოწყობის სამართალი;
ევროკავშირის კონსტიტუციური ასპექტები, ევროკავშირის კანონმდებლობა და ძირითადი ინსტიტუციები (ევროპის პარლამენტი, ევროპის საბჭო, ევროსასამართლოები).
ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური სისტემა გერმანიაში და საქართველოში; ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციური პასუხისმგებლობები, რესურსები და ორგანიზაცია; სამთავრობო ურთიერთობა სახელმწიფო/ ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს შორის; ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პრინციპები; რეფორმები და სტრატეგიები ადგილობრივ დემოკრატიაში, ერთობლივი რეფორმები და მათი შედეგები.
ევროკავშირის მრავალსაფეხურიანი მართვის სისტემის თეორიული მიდგომები; ევროპეიზაციის ცნება; ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურა; დემოკრატიული თეორიები და ევროკავშირში ინტეგრაცია; ევროკავშირში შესვლის პოლიტიკა და აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის წევრი სახელმწიფოების ტრანსფორმაცია; სამინისტრო ბიუროკრატიის ადაპტაცია და რეგიონალიზაციის რეფორმა ახალი წევრი სახელმწიფოებისთვის.
ეკონომიკის ძირითადი ცნებები, ეკონომიკური ანალიზის მახასიათებელი ინდიკატორების/მაჩვენებლებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების

პროცედურები. ბაზრის მარცხის თეორიები, ძირითადი განსხვავებები სამთავარობო და ბაზრის მარცხს შორის, ასევე ამ მარცხის ეფექტური დაძლევის საშუალებები და ინსტრუმენტები;
პროცესის მენეჯმენტისა და ელექტრონული მართვის უპირატესობები საჯარო მმართველობისათვის; ხელის შემშლელი ფაქტორები პროცესის მენეჯმენტისა და ელექტრონული მართვის განხორციელების პროცესში; ფაქტორები პროცესის მენეჯმენტისა და ელექტრონული მართვის შეზღუდვები კერძო სექტორთან შედარებით; ეროვნული მახასიათებლების მნიშვნელობა ცვლილებების პროცესისათვის;
სტრატეგიისა და ხარისხის მართვის მენეჯმენტის პრინციპები საჯარო მმართველობაში.

საჯარო სექტორში ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია; ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების სპეციფიკა, წესები, პრინციპები და მეთოდები;
ეკონომიკური კონტროლისა და ანალიზის, ასევე ეკონომიკის პოლიტიკის დაგეგმვისა და შეფასებისათვის საჭირო დამატებითი საშუალებები და მექნიზმები. ანალიტიკური საშუალებების ძირითადი საფეხურები, მოსალოდნელი რისკები და შედეგები.
პერსონალის მართვის მენეჯმენტი;
სამოხელეო სამართალი;
ეთიკის მოთხოვნები და სამართლებრივი პრინციპები;
საჯარო მმართველობის კუთხით ცვლილებების მენეჯმენტის პრინციპები;
კომუნიკაციის ზოგადი მახასიათებლები და კომუნიკაციის სახეები;
კურსდამთავრებული აცნობიერებს:

ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.
ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის ფარგლებში არსებული საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.
ადგილობრივ/ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში ევროკავშირის მმართველობის ინტეგრირების პროცესში ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს;
სახაზინო მომსახურების პრინციპებით ბიუჯეტის აღსრულების, ბიუჯეტის შესრულებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების ინტეგრირების პროცესში ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.
ეკონომიკური კონტროლისა და ანალიზისათვის დისკოტირების გამოყენებით ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.

ამას გარდა კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს შეისწავლოს შემდეგი საგნები: ადგილობრივი თვითმმართველობების სამართალი, საჯარო მართვის ევროპეიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა/ საჯარო ხარჯების დაფინანსება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი კურსდამთავრებულს შეუძლია: ახალ გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.
დასკვნის უნარი რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.
კომუნიკაციის უნარი შეუძლია აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი დასკვნები, არგუმენტები და კვლევის მეთოდები.
სწავლის უნარი შეუძლია სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვა, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.
ღირებულებები ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი

ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**.
2. **დისკუსია/დებატები –** დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
3. **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
4. **წიგნზე მუშაობის მეთოდი.**
5. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
6. **ევრისტიკული მეთოდი –** ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
7. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
8. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი

მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

9. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
10. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
11. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

12. **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
13. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება –** მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
14. **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სასწავლო გეგმა:

პროგრამა შედგება 12 სასწავლო მოდულისაგან, აქედან 10 თეორიული კომპონენტებისაგან შემდგარი მოდული, ერთი პრაქტიკული და ერთიც სამეცნიერო–კვლევითი მოდული.

თეორიული კომპონენტებისაგან შემდგარი მოდულებიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 90 კრედიტი, მათ შორის სავალდებულო 80 კრედიტი და არჩევითი 10 კრედიტი.

პრაქტიკული მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 6 კრედიტი, მათ შორის 3 კრედიტი საქართველოში, 3 კრედიტი ევროპის ქვეყნებში გავლილი პრაქტიკისათვის.

სამეცნიერო–კვლევითი მოდულში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 24 კრედიტი, მათ შორის 4 კრედიტი აკადემიურ წერაში და 20 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა.